



ქვემსასი

ქვემსასი

რედაქცია... მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. ფიჭაძის ს. ფოხტის ადრესი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

მარიამ და ეკატერინა ალექსის ასულნი ქურციკები აღწევნენ ნათესაეთს და წაეცნობთ, რომ კვირას ქალაქ ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიაში გარდაბთილ იქნება წლის წირვა მათი დაუვიწყარი ბიძის ანტონ პეტრეს ძის ქურციკების სულის მოსახსენებლათ.

კვირას 10 აგვისტოს (ახალი სტილით) ქუთაისში საფინჩიის სასაფლაოს ეკლესიაზედ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვილი გარდაცვალებულ კონსტანტინე თეობარის ძის მკურნალის სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აღწევს ნათესაეთს, და მეგობრებს და ნაცნობებს მგულლო მისი მარიამი, თავისი შვილებით და აგრეთვე იმავე დღეს იქნება გადახდილი წირვა და პანაშვილი თავის სამშობლოს დაბა სუქუნაში წმინდა გიორგის ეკლესიაში.

განცხადება.

პარასკევს 8 აგვისტოს, ნაშუადღევს 1 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა თეთრი ხიდის შესაკეთებლად.

ყოველივე პირობის გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე, ტექნიკური განყოფილების საქმის მწარმოებელთან.

ქალაქის გამგეობა.

ჩხარის უ. დ. სასწავლებელში თავისუფალია

სამი ადგილი საზოგადო განათლების საგნების მასწავლებლისა. ცხოვრება ჩხარში თითქმის ორჯერ იაფია, ვიდრე თფილისში ან ქუთაისში და თან საუცხოვო ჰავა. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: ჩხარი, უმაღლეს დაწვ. სასწ. გამგეობა. 8-1

მუშათა და ხელოსანთა კოოპერატივის საბჭოს წევრები,

ამით აცხადებს კოოპერატივის წევრების საუბრალოდ რომ უკანასკნელი არა ჩვეულებრივი კრება დანიშნულია ამა აგვისტოს 9, დღით შაბათს საღამოს 5 საათზედ, გამგეს ჯამაგირის დასანიშნავად, და სხვა საქმეების კოოპერატივის გასარჩევად; კრების რამდენიმეს დასწრებით, კრება ჩაითვლება კანონიერად, რადგან შესამდომ არის. მოწვეული.

დამპირბმ მოწმობა სამხედრო საკრებულოდან თავისუფლების შესახებ. მოცემული თებერვლის 27 1919 წ. მპონენის ვსთხოვ გადმომიგზავნოს ვანის ფოსტაში შალვა აფრასიონის ძე აბრამიძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 1-1

კურსების გოგირდის აბანო.

მ. უგრებელიძეების (ყოფილი არჯავანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოს სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანო არსებობს სოფ. კურსებში არჯავანიძის პლატფორმასთან (ტყელების რკინის გზის ლიანდაგი) აბანოსთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტები. წყალი ვანებისათვის ყოველთვის როგორც ცხელი ისე ცივი მზად არის. მატარებლის გაჩერება განახდა დღეში ორჯერ.

თვ. მოიჯარაღრეები მმ. უგრებელიძეები.

მუშაობს მმ. ურსულაძის სრესილის საგუბერნიო აგანო იმოყება სუფთა ბინა, სასმელ საჭმელი.

ქალაქის დაგეგმვისათვის.

ქალაქ თბილისისათვის 60 მილიონი მანეთი სასანიტარო გადასახადი შეუწყრიათ და უკვე გადახდებიანსაც შედგომიან იმისდა მიუხედავად, რომ ეს გადასახადი ჯერ დაკანონებული არ არის.

რამდენი იქნება კიდევ სხვა გადასახადი!

ქალაქ ქუთაისის ვაჭრებს სავაჭრო ოპერაციებისათვის უზომო გადასახადი შეაწირეს: ოცი—ათასიდან ასიათ მანეთამდის თვითონ!

ეს—ნამდვილი კონტრიბუცია არის.

რა მოჰყვება ამას შედეგად? ვაჭრები ჩვენი დედა-ქალაქებიდან საღმე სხვაგან გადაიხვეწებიან.

ქუთაისის შემოღებულ ვაჭრებს ბათომში გადააქვთ საქმეები.

თბილისიც თანდათან იცლება. და ბოლოს აღბად საქართველოს კაპიტალი სულ ერთიანად გადაიხინება უცხოეთში, ე. ი. ბაქო—ერევან—ბათომში.

მართლა, ბათომი ბოლოს და ბოლოს საქართველოს საზღვრებში შევა, მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, დღეს ჩვენთვის უცხოა.

აი რას არ უწევს ანგარიშს ჩვენი სოციალისტები!

და, ვაი, თუ მთელი ჩვენი ცოცხალი ეკონომიური, ინტელექტუალური და სამხედრო ძალა მეორე უფრო ძლიერმა მოცილებ—ადერბეიჯანმა—მიიზიდოს!

ღი! ჩვენს სოციალისტებს დაავიწყდათ ადამ სმიტის მიერ თქმული გაფრთხილება: ვაჭარს იქ გადააქვს კაპიტალი, სადაც მტე მოგებას ნახულობს და ინტელიგენტს თავისი შრომა იქ, სადაც მისი შრომა უკეთ ფასობს.

კონტრიბუციით ვაჭრებს სამართლიანი სასჯელი მიესჯებოდა, გვეუბნებიან სოციალისტები.

შემდარი აზრია: ვაჭარი ზედმეტ კონტრიბუციას მოერიდება, ე. ი. სავაჭრო კაპიტალს სხვაგან გაიტანს.

დარჩებიან მარტო წერილფენანი, რომელთა შორის ზოგი გაკატრდება და ზოგი, უფრო მარჯვე, საქონელს ერთი ათად გააფორებს.

მაშ რა შედეგი მოჰყვება ვაჭართა ზედმეტად გაბეგრვას?—როგორც მანუფაქტურა, აგრეთვე სასოფლო ქირანახული ერთიანად გაძვირდება და მისთვის, ქირით ცხოვრობს, მისთვის ცხოვრება აუტანელი შეიქნება!

ყოველგვარ ამშენებლობას ხომ ბოლო მოვლება!

საქართველოს ტერიტორიაზე, რომ ქარხნები დაკეტილია და ახალი სახლები აღარ შენდება,—ხომ ვიცით.

მაგრამ ერთადერთი საერთაშორისო მნიშვნელოვანების წარმოება—შავი ქვის—შეჩერებულია: მუშებმა იმდენა მოითხოვეს, რომ მწარმოებლები საქმეს ხელს ვერ ჰკიდებენ.

ასეთია კაპიტალის ბუნება: მისი დაბეგრვა ყველა ქვეყანაში თანასწორად უნდა წარმოებდეს. იგი მაშასადამე მოყიადე, კონსოლიდირდება, იმ ქვეყნიდან, სადაც

მეტი დაბრკოლება ელობებს წინ, გადადის მეორე ქვეყანაში, სადაც ნაკლებად უშლიან ხელს.

დასასრულ მოვიყვან ინგლისის მომარაგების მთავარი კონტროლიორის—რობერტის აზრს: „სანოვგე არ გაიფიქრებ, ყველა ვაჭარსაც რომ თავი მოეკვთოთ, ვიდრე წარმოება არ გაიზრდება“.

აი სიადის ერთადერთი წამალი! საქართველოში მოქმედი შრომის პირობა და წესი კი ისეთია, რომ წარმოებაზე ლაპარაკი შეუძელია.

მაშ სიძვირის მიზეზი—აწინდელი ეკონომიური პოლიტიკაა.

და ვიდრე ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, სიძვირე თანდათან მოიმატებს.

ამგვარს ეკონომიურ-აწინდელი პოლიტიკის წინაშე ვდგავართ.

ვასილ წერეთელი.

სომხური პრესა.

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების მოახლოებით დაწესებულსაც აქედან შალით მადა. უნდათ დამფუძნებელ კრებაში მოხდენ და სომხური პოლიტიკით იქაურობა ააშშრონონ.

ვაზეთი „ნორ-შხატავორი“ უმთავრესად ურადლებას აქცევს ახალციხის, ახალქალაქის და ბორჯომის მხარეებს, სადაც სომხები მოსახლეობენ და სწერს: „აგვისტოს 10 დანიშნული დამატებითი არჩევნები საქართველოს დამფუძნებელი კრების ახალციხის, ახალქალაქის და ბორჯომის მხარეებში, უნდა პირნათლად შედგინოთ, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არც ერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი არ არის“.

შემდეგ ვაზეთი სწერს მართლველი პარტიის ძალადობაზე, რასაც ყოველთვის ირენდა არჩევნების დროს და სომეხ აზომრჩეულების შესახებ სწერს:—

„ჩვენ არ ვეჭვობთ იმაში რომ აგვისტოს 10—ში ყველა ხმები მიეცემა დამატებითი პარტიას, როგორც ერთ პარტიას სომხის სინამდვილეში, რომელსაც ყოველთვის და ყოველგან დაუცავს ხალხის უფლებანი.“

ჩვენ ვევი არ გვეპირება, რომ სომხები დაწესებულს მისცემს ხმას, მაგრამ რომელ სომხის სინამდვილეზე ლაპარაკობს „ნორ აშხატავორი“? სად დაუცავს მათ ხალხის უფლებანი? თვით სომხის ხალხიც ტერორს ქვეშ ჰყავთ და საინტერესოა ვიცოდეთ რა უნდათ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. მასწავთ ერთია.

„ლალიტი“

საქართველო. მთავრობის წოტა სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს შემდეგ დეკლარაცია გაუგზავნა: უკანასკნელ ხანს ყარსის ოლქში და ერევნის გუბერნიის ერთ ნაწილში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკებები ძალიან აწუხებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

სტრეზული შეტაკებები დამფუძნებელ კრების ორგანიზაციის მიერ.

სტრეზული შეტაკებები დამფუძნებელ კრების ორგანიზაციის მიერ ითრებს მთელ ამიერკავკასიას, მთელ მხარის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას აბრუნებს მაშინ, როდესაც მისი ბედი საერთაშორისო კონფერენციებზე სწვდება, და ამიერკავკასიის ყველა ერებს უშუალოდ შედეგებს უქადის.

ასეთ პირობებში ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკათა მთავრობებმა ყოველი დონე უნდა იხმარონ სტრეზული შეტაკება შესაწყვეტად. მათი გამოაშფოვე მიზეზების მოსპობით და ამიერკავკასიაში ეროვნული უფლის გამაშფოვებელ საკითხების მშვიდობიანის გზით გადაჭრით.

ამ მოვალეობის ასასრულებლად და პლემარგობის უკიდურეს სიმძიმის შეგნებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინდადებს იძლევა განახლდეს ამიერკავკასიის კონფერენციის სტრეზული.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე მ. გიგაჰქიაჩი.

გრძელვადიანი შინაგან საქმეთა და სამხედრო უსუსპათია მიმართ.

დამფუძნებელი კრების ამა წლის 27 თბათვის დეკრეტის თვის ნებით წასდის და სამხაზურიდან გაქცივის პასუხისმგებლობისა და 2 აგვისტოს სამხედრო პეგარის აუსრულებლობის და ან დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისათვის დასჯის დეკრეტის ასასრულებლად ვცხადებ.

1. სამხედრო სამხაზურიდან თავის წებით წასულნი და გაქცეულნი (დეზერტირები) მოკლდენ არიან ამა წლის 1 ლ სექტემბრამდე გამოცხადდნ თვის ნაწილში ან სამხედრო უფროსთან. ამ შემთხვევაში ისინი სასჯელიდან თავისუფლდებიან.

2. მხარის და სოფლის საზოგადოებათა კომისიები და მილიციის უფროსები ვაღდებულნი არიან 1-ლ სექტემბრიდან მოკლებული შეიპყრან დეზერტირთა მფარველი, თუნდა უკანასკნელი შრომლები იყვნენ და დაუყოვნებლივ გადასცენ ისინი სათანადო სასამართლოს და ყოველ კერძო შემთხვევაში დატუსაღებულთა შესახებ აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

3. მხარის და სოფლის საზოგადოებათა კომისიები და მილიციის უფროსები ვაღდებულნი არიან პირველ სექტემბრიდან დაუყოვნებლივ შეიპყრან დეზერტირები და გადასცენ ჯარის მახლობელ ნაწილებს ან სამხედრო უფროსებს. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს იგი დაუყოვნებლივ გადაყენებული იქნება სამხაზურიდან ჯამაგირის მოსპობით და პასუხისმგებელი იქნება მიცემული, თანახმად მოღებული დეკრეტებისა.

4. ჯარის ნაწილთა უფროსები ვაღდებულნი არიან აღმინისტრაციის ვაუწიონ ყოველგვარი დახმარება დეზერტირთა მთ მფარველთა და წამქეზებელთა შემცრობაში.

შინაგან საქმეთა და სამხედრო შინისტრი ნ. რამიშვილი.

# ახალი ახვანი

ა ვ თ ა ი ს ი.

ივანობისთვის რიცხვში დაკავებული არის მოპარული შავი ხარები, მგერული ჯ. შ. შ. პატრონმა მოიკითხოს, ბაღდათის სასაბაო კომისარიატში.

მალაქის გამგებობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო თეთრი პურის ფქვილი, რომელიც შეუძლიათ მიიღოს კოლხეთში.

სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა. გუშინ ქუთაისში გაიმართა სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სადამო. ხვალ 9 აგვისტოს სახანუხო საკრებულოს დარბაზში გაიმართება სადამო-სეირნობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და გახეთ „ჩვენი ქვეყნის“ სახარებლოთ.

## იტალიის ნოტა აზერბეიჯანისადმი

იტალიის სამხედრო მისიამ ამიერ-კავკასიაში აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

იტალიის სამეფოს შასმა უმაღლესობამ მინისტრის ამხანაგმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მომწერა რომ თქვენს უზღოვანობას შემდეგი გადმოგცეთ: იტალიის ჯარებით ბრძანების ჯარების შეცვლა ამიერ-კავკასიაში აღარ მოხდება.

იტალიის მთავრობას სურს თქვენ რესპუბლიკისთან დაკვირვებას მჭიდროდ ეკონომიკური და ფინანსური კავშირი. ამ მიზნით იტალიის მთავრობა მზადა ყველაფერი შესაძლებელი საშუალება იხმაროს. გაიუზანოს ავრთვეთ კავკასიაში ტენიკური მრჩევლები, თუ თქვენი მთავრობა ამას სასურველად დაინახავს. ამის გამო იტალიის მისია კავკასიაში დარჩება და მიიღებს ყველაფერ წინადადებებს და თანაგებს, რომლებიც მათ მიმართავენ.

იტალიაში აღიძრება მრავალი ახალი საქმე და საქარა რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა უნდა ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის აღორძინების საქმეს.

შემოდინა დაგარწმუნოთ, თქვენ ადმინისტრაციულად, რომ იტალიის სამეფოს მთავრობას სულ მთლიანად გაგებული აქვს ის საკითხები, რომლებიც თქვენს აქტის ტერმინებზე, რომ იგი დიდის გულსიყუჩით მოეწყობა თქვენს საკითხს და საპროცენტო მთლებს მონაწილეობას იმ კაშაში, რომელიც თქვენი საკითხის გადაჭრის დროს აღიძრება ახლო მომავალში სახანო კონგრესზე.

ხელს აწერს ამიერ-კავკასიის იტალიის მისიის უფროსი შარლ-მიშელი.

## ინგლისელთა წასვლის გარეშე

ამ დღეებში მოხდა შეერთებული სხდომა საქართველოს მთავრობისა და ინგლისელთა წარმომადგენლებისა. თათბირი სწავლობდა ინგლისელების წასვლის შესახებ ერობის ვარაუბრს. გამოიკვეთა, რომ ინგლისის გადაწყვეტილი აქვს ჯარი ამიერ-კავკასიიდან გაიყვანოს.

ამ თათბირზე გამოითქვა სურვილი რომ ინგლისელები დარჩენილები კიდევ ამიერ-კავკასიაში. ამაზე ბრიტანეთის საზღვარის წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ საფრანგეთის და ინგლისის მისიათა მოთხოვნების ვაფლენით, რომ ჩვენ რუსეთის საქმეებში არ ჩავერიოთ, ინგლისის ჯარი გადის სრულიად რუსეთის ყაფილ ტერიტორიიდან.

ინგლისელებს განუცხადეს, რომ საქართველოს, მავალითად, აგრესიული პოლიტიკა არ უწყობდება და ამისთვის ინგლისის ჯარის აქ ყოფნა, სრულიად არ არის რუსეთის საქმეებში ჩარევა. რომ შემოდ აღნიშნული მოტივით არ უნდა იყოს სწორე არგუმენტაცია და მათ აქცია კი პოლიტიკურ და სამხედრო ბალანსისათვის მტად სასურველიაო.

ინგლისელებმა განაცხადეს, რომ აქედან წასვლის საკითხი უკვე საბოლოოთ არის გადაწყვეტილი და ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სურვილი ლონდონში გადავცეთო. მთავრობის სურვილი რადიოთი ლონდონში გადაეცა.

## ახალი პარტია ოსმალეთში

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ალი-ფეიხალი-ბეის განზრახვა აქვს დაარსოს ახალი პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანი იქნება მოკავშირეებთან დაახლოვება. ამ პარტიას ექნება ორი ორიენტირებული ორგანო. ერთი ფრანგულენაზე, ვაზ. „ანტანტი“ და მეორე ოსმალურზე „აჰიამი“. (აჟოლ. ძინა“)

## ინგლისის სამხედრო მისიის ხმოსანთა ყრილობა

თბილისის, აგვისტოს 6.

1) ოსმალეთში ოფიცერმა ხალიბეიმ რომელიც სომხეთის წინააღმდეგ ამხედრებულ თათრებს სარღობდა რამდენიმე დღის წინაღ სომხეთს უღტიმატური წარუდგინა სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე და შარუსა და ნახიჩევანში პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებამდე თათრების აღმინისტრაციის ცნობის შესახებ. ამ უღტიმატურზე არაერთი პასუხი არ გასცეს ივლისის 25 კომარლოუს სომხეთა საველე შტაბი მატარებელი მოვიდა 29 დაჭრილით და სომხეთის ჯარით რომელიც თათრებს ტყვედ წაიყვანა და ხალიბეის განკარგულებით გაათავისუფლეს. ამ 29 კაცის აზრით სომხების მხრით სამხედრო მოქმედების განაღდებას მოჰყვა თათრების ხელში დარჩენილი 250 სომხის ამხორცვა, რომელთაც აქამდე კარგად ეპყრობოდნენ. ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლები ყოველდღის ხმარობენ რომ ისინი თავდების ქვეშეაგან თავისუფლონ.

2) პოლკოვნიკმა ბელოუქ ყოფილი-ური წერილი გაგზავნა და იხედი ქაონდა რომ შესძლებდა ივლისის 30 თათბირის მოწყობას თათრებთან. მინახდე კი ყოფილი დამცველი სომხები გარშემოტყვეული იყვნენ ბეუყვედში. სომხეთის ჯარი საუცხოვოდ იბრძოდა და დიდი მამაცობა და მამოლობისაღმოსაყვარული გამოიჩინა.

## დებულები.

(საქ. დებ. სააგ).

მარიამობისთვის 2-ს.

## გოლფაგი-ქარი სნობაში.

სამხრეთის ფრონტი. ჩვენ ელანი დევიტირებ. კამიზინის მიმართულებით ილმენევი და კასანიირი (კამიზინის ჩრდილოეთით) დაესტრავეთ. დამატებითი ცნობით, 2 და 3 აგვისტოს ბრძოლის დროს ჩვენ ხელში ჩაგვდეთ 16 ზარბაზანი, 60 ტყვის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო მასალა.

აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ტროცკოეს რაიონში ჩვენ სად. ნიენულასკაია დავიჭირეთ. ჩელოაბინსკის რაიონში ბრძოლით წინ წავეჭით. კამიზინის რაიონში დაღმბატოვის სამხრეთით ბრძოლა. ჩრდილო აღმოსავლეთით შარინსკზე ჩვენი შეტევა გაგრძელდება.

მუნგრეთის ახალი მთავრობა. ლიონი. აგვ. 5. ბუდაპეტიდან იუწყებიან, რომ ბუდაპეტიში ყოფილ იტალიის მისიის უფროსის რომანელის ცნობით. მუნგრეთის ახალი მთავრობას სურს დროებითი ზავის პირობების აღსრულება.

ბოლშევიკები საქმეთა რუსეთის დაცემაზე. მოსკოვი. აგვ. 5. სოციალისტების გამოვლენები პირველად გამოვხმარუნენ კამიზინის მთავრობის მოკავშირეთა მთავრობის პრო-

ვაციული მოწოდებას მუნგრეთში მუშათა და გლეხთა საბჭოთა მთავრობის ზურგს უკან დაიწყეს მოკავშირეებთან გამოლაპარაკება, გაყიდეს მუნგრეთის მუშები და გლეხები. აგვ. 1. მუნგრეთის საბჭოთა მთავრობა გადადგა. კომუნისტური საბჭოს წევრები და სახალხო კომისარები ბუდაპეტიდან გაქცევს ეკადენ, მაგრამ ავსტრიის საზღვარზე ისინი დაიჭირეს. დაპატიმრებულები ვენაში მოიყვანეს. ბურჟუაზია სოციალისტური წესწყობილების დარღვევისთვის ემზადება. კომუნისტები სამაგეროს გადაუხდინან. იმავე დროს სოციალ-დემოკრატებმა ბუდაპეტიში ახალი მთავრობა შეადგინეს. ახალი მთავრობის პირველი საქმე იყო კვირა საკუთრების აღდგენა მემამულეებისთვის მამულის დაბრუნება, კაპიტალისტებისთვის ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა. ბურჟუაზია ზეინიშს. სოციალისტურ მუნგრეთში კაპიტალისტური წესწყობილება აღადგინეს.

## შორეულ აღმოსავლეთში.

ჩინურები. აგვ. 3. უსურის და ამურის ყაზახების ნაწილი, რომელიც საბაროესკში იდგა, საბჭოთა ჯარის მხარეზე გადავიდა. რაზმი, რომელიც დასაწყნარებლად გაიგზავნა... (გამოტოვებულია) აჯანყებულები ბრძოლით მივიდნენ ჩინეთის საზღვრამდე, სადაც მუხინის რაზმს შეუერთდნენ. ირკუტსკსა და კრასნოიარსკის შუა აჯანყებულებმა ფრანტი გააყეთეს მურავიოვის რაზმის მეთაურობით. ენისეის გუბერნიაში კალანდარიშვილის რაზმი მოქმედობს.

## დენ შინის წინააღმდეგ.

ჩინურები. აგვ. 4. ეკატერინოსლავის ფრონტზე დენიონის გლეხები აუჯანყდნენ და მის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმებს აღგენენ.

## პროტესტები დენიონის წინააღმდეგ

კონტოპი. აგვ. 4. დენიელების სიმხეცემ ქალაქის საბჭო აიძულა პროტესტი გამოეცხადებია. საბჭომ გენ. მაი-მაიეცის დელეგაცია გაუგზავნა მუშების და მცხოვრებთა დახოცვის მიზეზების გამოსარკვევად.

## მონახიხეთა სიმკაცრე.

ჩინურები. აგვ. 4. ეკატერინოსლავის კომუნისტმა პელოვმა ბრძანება გასცა ყველა სახლის კომიტეტების მიმართ, რომ შეატყობინონ ყველა მათი სახელი და გვარი, ვისაც საბჭოს მთავრობასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. გენერალი პირდება რომ მათ ყველას მცხოვრებლების თვალ-წინ ჩამოახრჩობს.

## საზოგადოების საუბრადგომი

მიღებული ცნობებით ჯავახეთის საზოგადო მოღვაწე და ქართულ ლიტერატურაში და პრესაში ცნობილი საქართველოსთვის თავდადებული ერდული მამულის შვილი ილია აღზაზისშვილი იმყოფება უკიდურესი მდგომარეობაში, შევიწროვებული მატერიალურათ და ავითმყოფი. ის დღეს თითქმის სამადღოთ იმყოფება ბორჯომში სამხედრო ლაზარეთში. შარზან და შარზან წინ ის გახთა მსხვერპლი ჯერ შეუგნებელი ბრძოლი და მერე მტარვალი თათრებისა, იძულებული იქნა მიეტოვებია თავის ყოველი საცხოვრებელი ახალქალაქში თურქების შეზღვევის დროს და ძლიერ ცოცხალმა დაახწია თავი. აქამდის მან დიდის გაკვირვებით გაატარა თვისი ცხოვრება; ეხლა კი სულით და ხორცილთ დატანჯულმა მიმართა საზოგადოებას.

ქართველი საზოგადოების ვალია უშველოს გაკვირების დროს იმათ ვინც თავის სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა ამ საზოგადოებისთვის.

დახმარებთ ვისაც რით შეგიძლიათ. შეწირულება მიიღება ვაზ. ჩვენი ქვეყნის რედაქციაში ნიკ. ასათიანთან, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ა. დელიბაშთან. შეიძლება აგრეთვე დახმარება გაეგზავნოს ავადმყოფს შედგი მისამართით:

ბორჯომი. სამხედრო ლაზარეთი ილია აღზაზისშვილის.

## ქუთაისის სამხრეთ ერობის ხმოსანთა ყრილობის საუბრადგომი.

წარსულ ყრილობაზე იყო არჩეული კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, ამ კომისიაში შედიოდნენ ვლადიმერ ქუთათელი, ლევან ქორქაშვილი და მიხეილ გაგაშელი, რომელთაც უნდა გამოეჩვენათ კუბის საზოგადოებაში სად უნდა გახსნილიყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება კუბში თუ გუბში. ერთი კვირის წინააღმდეგ კომისიის უამოუტანია დადგენილება და სხვადასხვა გაუგებარი მოსაზრებებით დაუდგენიათ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გუბში გახსნა. მე როგორც ორი სოფლის წარმომადგენელი ამ საქმეზე არ მექნებოდა არავითარი უფლება ასეთი დადგენილების წინააღმდეგ მეთქვა რამე, რომ საქმე კომისიის შესაფერისად გამოეჩვენათ.

კომისიის მიერ ერობისადმი წარდგენილ ოქმში მოყვანილია სულ თავიდან ბოლომდის ყიღბი ცნობები, — მაგალითად: კომისია, როგორც სჩანს აშკარა შეცდომაში შეუყვანია გუბის წარმომადგენლებს, მათ ოქმში ნათქვამია: „აღნიშნულმა კომისიამ ადგილობრივად დავთვლიერეთ გუბი — კუბის კანცელარები, იმის გამოსარკვევათ, თუ რომელ სამმართველოსან უმჯობესი იქნება ფოსტა-ტელეგრაფის დაარსება და გამოიკვეთა შემდეგი: გუბში 10 სამიკიტნო, კომპარტოვები, სამკითხველო, სასწავლებელი და სასახლეებია 345 კომლით და სხვა. ამავე დროს კუბში არის 2 კოლხეთისაგან, სამკითხველოები, სასწავლებელი და სასახლეებია 630 კომლით, ამას დაემატება ისიც რომ ჯიხიშის 450 კომლი მსურველია ფ. ტ. გახსნას საზოგადოების სამმართველოსან და სხვა... როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს კომისიის ვერ წარმოუდგენია ის, რომ ამ ორ სოფელს აქვს ერთი სამმართველო. კუბის და გუბის საზღვარზე და არა ორი — კუბში და გუბში ცალ-ცალკე, რაზედაც კომისია უმთავრესად ეყრდნობა.

ამის გარდა კომისიის მიუღია მხედველობაში ის, რომ გუბში ბევრი სავაჭროგობია (სამიკიტნოები) და სრულებით არ წარმოუდგენიათ ის რომ, მისი ცნობით, გუბში ყოფილა 345 კომლი კუბში და ჯიხიშში კი ერთად 1080 კომლი. უფრო სამართლიანი იქნებოდა რომ კომისიის ყურადღება მიექცია მოსახლეობისათვის და არა სამიკიტნოებისათვის; მიეღო მხედველობაში ის, რომ გუბში საზოგადოების სამმართველო არ არსებობს და ფოსტის გუბში დაარსება გამოიწვევდა ზედმეტ ხარჯებს მართლ გუბელები-სათვის; ფოსტა თუ გუბში გახსნა, კუბი და ჯიხიში ხარჯებში მონაწილეობას არ მიიღებს, ამაზე დადგენილება. გამოტანილი აქვს საზოგადო კრებას: მაგალითად: გუბში საქარა ამ დაწესებულები-სათვის დაიჭირაონ დარაჯი და აუცილებ-

მატარებლების საზოგადოებრივი მიმოსვლა. 1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისის მიღის.		ქუთაისიდან გადის.	
თბილისიდან.	ბათომიდან.	თბილისისაკენ.	ბათომისაკენ.
პირდაპირი № 3-5 ს. და 50 წ. დლით	პირდაპირი № 72-1 ს. და 30 წ. დლით	პირდაპირი № 12-11 ს. და 47 წ. საღამ.	პირდაპირი № 44-4 ს. და 40 წ. დლით
ჩქარი № 1-7 — 80 — —	სამგზავრო № 6-5 — — დილ.	ჩქარი № 2-10 ს. და 2 წ. საღამ.	სამგზავრო № 5 3 ს. — 30 წ. ღამით
საფოსტო № 3-7 ს. — 40 — საღამ.	ჩქარი № 2-1 — 50 წ. ღამ.	საფოსტო № 4-10 ს. — 10 წ. დილ.	ჩქარი № 1-6 ს. — — წ. დილ.
სამგზავრო № 15-1 ს. — 50 — ღამით	ფოთიდან.	სამგზავრო № 6-3 ს. — 17 წ. ღამით	ფოთისაკენ.
	პირდაპირი № 36-8 ს. და 28 წ. დილ.		პირდაპირი № 4-4 ს. და 40 წ. დლით
	საფოსტო № 4-12 ს. — 55 წ. —		სამგზავრო № 5 3 ს. — 30 წ. ღამით
	ტყიბულიდან.		ჩქარი № 1-6 ს. — — წ. დილ.
სამგზავრო № 81-10 ს. და 20 წ. დილ.	პირდაპირი № 36-8 ს. და 28 წ. დილ.		პირდაპირი № 35-3 ს. და 25 წ. დლით
საფოსტო № 3-5 ს. — 30 წ. საღ.	საფოსტო № 4-12 ს. — 55 წ. —		საფოსტო № 3-5 ს. და 50 წ. დილ.
			ტყიბულისაკენ.
			საფოსტო № 4-7 საათზე დილას.
			სამგზავრო № 82-4 ს. 4 წ. საღამოსი

სათები ნაჩვენებია ადგილობრივი ფროთი.

ბლად შ მილიციონერი ფოსტის მინისტრის დასაცავად, ვინაიდან ეს ადგილი სრულყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ადგილი სრულყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ადგილი სრულყოფილი უნდა იყოს.

ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი მნიშვნელობაა კი კომისიის მხედველობიდან გამოუშვია, ამ ფოსტით სარგებლობა მთავრობას სრულებით არ შეუძლია, ვინაიდან გუბის ფოსტა-ტელეგრაფი იქნებოდა სამმართველოზე დაშორებულია 2 ვერსით და მთავრობიდან მოსული კორესპოდენცია და სასწრაფო დებულებიკ კი, შესაძლებელია მეორე დღეს მიიღებდა ადგილობრივი აღმინისტრაცია, დარაჯმა გუბში მოსული წერილები და დებულები უნდა ჩააბაროს სამმართველოს კუბში, რაც დიდი უხერხულებას შექმნის და დიდ ხელს შეუშლის მთავრობას საქარო შემთხვევებში. კომისიის სოფლების საზღვრებიც კი არ დაუთვლიერებია, რაც ძრიელ ადვილი იყო ავტომობილით ჩამოვლა.

ამ მოსაზრებების გარდაც არის ბევრი მოსაზრებებიც, რომელითაც კომისია იძულებული იყო დადგენილება ფოსტის გახსნის შესახებ გამოეტანათ სამი დიდ სოფლების არსებული სამმართველოსან და არა გუბში ერთი სოფლისათვის მართლ.

უკანასკნელად საქაროთ ვსთვლი განუცხადო ყრილობას, რომ ამ კომისიაში შედიოდნენ ისეთი წევრი, რომელიც ძრიელ დანტერესებულია ამ საქმეში; ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ამ საკითხის გადაჭრაში დიდ გავლენას იქონიებდა ასეთი წევრი.

ვაქცევ რა ყრილობის ყურადღებას ამ გარემოებას, საზოგადოების დავლებით, ვსთხოვ ფოსტის გახსნის საქმე დროებით შეაჩეროს და მიანდოს ადგილობრივ წვრილ ერთეულს, რომელიც არის ნამდვილი ადგილობრივი დემოკრატიის სურვილების გამოხატველი და გარწმუნებ ყრილობას, რომ ერთეულის დადგენილება იქნება უფრო სამართლიანი და უკანასკნელიც მოსაზრებ მუდმივ შურს ამ ორი სოფლის შორის.

კუბის საზოგადოებიდან კომისიის წევრი მოსე ა. შავდაყაძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.